საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/133 " 11 " მაისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გ. ლობჟანიძის რაიონული (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 17 თებერვალს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. გიორგი ლობჟანიძე არ იქნეს გამწესებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლოს საქმეთა პალატის მოსამართლის და საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს ახალგორის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის და დუშეთის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობებზე 3 წლის ვადით.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე